

2 იტალიური
დაბა
რუმინელთა ალყაში
„ბათუმი“ რუმინულ
„სტიაუას“, „რეშიცას“ და
მაკედონიურ „სკოპიეს“
შეხვედება

5 გაყიდის
ნუნისი
რიგალოს?



თუ ასე მოხდა,
კატალონიური კლუბი
ბრაზილიელში
დაახლოებით 61 მილიონ
დოლარს მოითხოვს

5 რუსულა ყინვა
იტალიაშიც
უეაღწია

იანვრის ბოლო უქმეებზე
სერია A-ს მატჩები,
შესაძლოა 30 წუთის
დაგვიანებით დაიწყოს

FIA ფორმულა 1:
FORMULA 1
WORLD CHAMPIONSHIP
2000
BENETTON



როგო ძველ ძმებს ენდობა

ბასკოს ვოლიტიკა პიტას დასუსტება და დაუღაა ჩვეთვის მიუღებელია, რომ ტომარაძემ ბაჭირაძის შაჰს მიგატოვა



ბაჭირაძე დედასთან ერთად

„ვითას“ მფლობელი თემურ დათიკაშვილი

ვითა ერთი წამის
გუნდი არ არის,
ის ყოველთვის
იარსებებს!

ჯერ კიდევ სეზონის დაწყებამდე გამოი-
თქვა მოსაზრება, რომ საქართველოს ვეი-
დგზის ჩემპიონ „ვითას“ წლეულს არნახუ-
ლად გაუჭირდებოდა ტიტულის შენარჩუნე-
ბა. ამ ვარაუდს საფუძველიც ჰქონდა — ზა-
ფხულში „ვითა“ ერთბაშად ხუთმა წამყვანმა
კალათბურთელმა დატოვა.
გავიდა დრო და ყველაფერი უფრო ნათე-
ლი გახდა. განახევრებული „ვითა“, ბუნებრი-
ვია, აღარ არის ისეთი მრისხანე. შეიდგზის
ტრიუმფატორიც მეთერთმეტე ეროვნულში
ჩვეულებრივ, სხვათაგან არაფრით გამოი-
ჩეულ კლუბად იქცა.
„ვითას“ აქვს თავისი ისტორია, გამარჯვე-
ბებითა და წარმატებებით მდიდარი ნუსხა.
ეს კი ნაღდად გამოარჩევს სხვებისგან ჩემ-
პიონს...
როგორც არასდროს, ისე გაუჭირდა დღეს
„ვითას“, მის საჩემპიონო ამბიციას აღარც კი
განიხილავენ საკალათბურთო საქართველო-
ში. ყოველივე კი დღევანდელი მამოტიანა.
ასეთია რეალობა და აზრიც — შესაბამისი.
„ვითას“ მფლობელ თემურ დათიკაშვი-
ლთან შეხვედრა ამ კლუბის თავზე მოქმე-
ბულმა ღრუბლებმა გვაფიქრებინა. სასაუ-
ბრო თემა ნათელია, მასზე უკეთ კი ვერავინ
გაგვცემდა პასუხს კითხვებზე...

იხილეთ მეთოთხმეტე გვერდი

მორესმოს პატივი პატივს აკჟსარა



ერთი კვირის
წინ სიდნეიში
მუსლიმმა
გულშემატკივარმა
მარტინა შინგისს
ამელი მორესმოს
დაპარცხება და
ლესბოსელთაგან
იქაურობის
„გაწმენდა“
მოსთხოვა.

მცირედენი დაგვიანებით ამ
მონოდებას მელბურნში სულ სხვა
შევიცარიელი, პატი შინდერი
გამოეხმაურა. ცაცია ჩოგბურთელმა
დაკუნთულ „ცისფერ“ თუ „ვარდისფერ“
ფრანგს გუდა-ნაბადი ააკრევირა და
ძველი, ბრიყვილი ნყენისთვის შურიც
იძია, თუმცა „სრული განმედიისა“ რა
მოგახსენოთ — ამბობენ, დიაც
ჩოგბურთელებში ლესბოსელობას
ღრმად გაუდგამს ფესვები.

იხილეთ მეთერთმეტე გვერდი



ამელი მორესმო

REUTERS მელბურნიდან

იტალიური ღაბა რეპინელთა ალყაში ბათუმს კლიური ჯგუფი ებრძო

საფეხბურთო კლუბ „ბათუმის“ პრეზიდენტმა თემურ ბეჟანიძემ ამას წინათ „სარბიელს“ განუცხადა, ჩვენი მიზანი ჩემპიონობა და თასის მოპოვებაა, საამისო ძალაც შეგვეყვას, ლიდერებს არც ჩამოვრჩებით, ბოლომდე ვიბრძობებით, თუ გავიმარტოვით...

XI ჩემპიონატის მეორე ეტაპისთვის ზღვისპირა კლუბი, როგორც იცით, იტალიაში, კერძოდ ნორჩაში აპირებენ მომზადებას, სადაც 20 დღის მანძილზე საკმაოდ სოლიდურ ტურნირზეც მიიღებენ მონაწილეობას.

— თავად მწვრთნელმა გადაწყვიტა ასე და ჩვენც დავთანხმდით. იტალიაში ყოფნისას ჯანი კარნეველეს ყველაფერი თავად მოუგვარებია, პერუჯას მახლობლად, დაბა ნორჩაში მიემგზავრებით, იქ დაახლოებით 20 დღეს დაყოფით — დასძინა მაშინდელი საუბრისას ბეჟანიძემ.

უკვე ყველაფერი გადაწყდა. საფეხბურთო კლუბ „ბათუმის“ პრეზიდენტი, ვიცე-პრეზიდენტი, მწვრთნელები და 22 ფეხბურთელი 26 იანვარს ჩარტრული რეისით ბათუმი — პერუჯა, აპენინებს ესტუმრებიან. იქ კი, პერუჯადან 30 კილომეტრის მოშორებით მდებარე დაბა ნორჩაში, ოთხვარსკვლავიან სასტუმროში, ავტობუსით გადავლენ და იქვე იცხოვრებენ.

ეს ყოველივე კლუბის ვიცე-პრეზიდენტმა თამაზ ცინარიძემ გვამცნო და დაამატა:

— ტურნირი, რომელიც საკმაოდ სოლიდური სახისაა 2 ან 3 თებერვალს აიღებს სტარტს. მასში მონაწილე 20 გუნდი ხუთ ჯგუფშია (თითოში ოთხი) გადანაწილებული. იტალიელებმა უკვე გვაცნობენ ფაქტით, ჩვენი მეტოქეების ვინაობა. „ბათუმი“ A ჯგუფში მოხვდა, სადაც ჩვენს გარდა არიან რუმინეთის „სტიაუა“ და „რეშიცა“, აგრეთვე მაკედონიის „სკოპიე“.

ორგანიზატორებმა რეგლამენტი შემდეგნაირად შეადგინეს: ჯგუფიდან ორ-ორი საუკეთესო გაცა, შემდეგ ამ 10 გუნდს ორ ჯგუფად გაყოფენ. გამარჯვებულები ფინალში მოხვდებიან, რომელიც 14 თებერვალსა დაინშნული.

მატჩები კი ოთხი საფეხბურთო სკოლის საწვრთნელ მოედანზე ჩატარდება. A და B ჯგუფის გუნდები ნორჩაში დარჩებიან, ხოლო C, D და E ჯგუფები კი სპოლეტოში, ტრევიზოში და კარპელიში გაარკვევენ უძლიერთა ვინაობას.

ახლა მოდით, ვიყო რეალისტები და შევფასოთ „ბათუმის“ შანსები. თუ ჯანი კარნეველესა და ფეხბურთელთა საქმისადმი პროფესიონალური მიდგომასა და ამბიციურობას გავითვალისწინებთ, ზღვისპირა კლუბმა ჯგუფში სულ ცოტა, მეორე ადგილი მაინც უნდა დაიკავოს. რატომ მეორე და არა პირველი, იკითხავს მკითხველი. იქნებ პირველიც, მაგრამ რეალურად თუ ვიმსჯელებთ... ისე არც მეორეობაა ცუდი, როცა იცი, რომ ჯგუფიდან გასვალ.

თქმა არ უნდა, ჯგუფში უპირობო ფავორიტად ბუქარესტის „სტიაუა“ ითვლება, რუმინეთის „სახალზო“ და ამ ქვეყნის ყველა დროის უძლიერესი კლუბი. წლევერდელ რუმინეთის ჩემპიონატში ერთ დროს ნიკოლაუ ჩაუშესკუს საყვარელი გუნდი დალხენილად ნამდვილად ვერა და ცხრილის შუაში იმყოფება, სადაც ლიდერ, ბუქარესტისავე „დინამოს“ გვარიანად ჩამორჩება. „სტიაუას“ წარსულსაც რომ გადავხედოთ, ალბათ 1987 წელს ევროპის ჩემპიონთა თასისა და სუპერთასის მოპოვება მისი სიძლიერეზე მეტყველებს. ერთი სიტყვით, ფაქტია, „სტიაუა“ ზღვისპირა კლუბისთვის არამარტო ტიტულიანი მეტოქე, არამედ ჩინებული სპარინგ-პარტნიორიც იქნება.

რას წარმოადგენს მეორე რუმინული კლუბი „რეშიცა“? დიდი ვერაფერი გუნდია, რაიმე სერიოზული წარმატებისთვის არასოდეს მიუღწევია, ის კი არა, წლეულს ქვეყნის ჩემპიონატის ერთ-ერთი აუტსაიდერია, თუმცა ხელაღებითაც ვერ იტყვი, ადვილად მოუუგებო.

დაბოლოს, მაკედონური „სკოპიე“. არა, ეს ის ცნობილი ბალკანური „გარდარი“ არ გახლავთ, რომელიც ასევე დედაქალაქის გუნდია, „სკოპიე“ ჩემპიონატში საშუალო დონეზეა, რო-

გორც ჩანს, არც ფინანსურად უჭირთ. ერთი სიტყვით, „ბათუმს“ სამივე მეტოქესთან დიდი ბრძოლები მოუწევს. რა თქმა უნდა, კარნეველეს ძირითადი ამოცანა გუნდის მომზადება იქნება, მაგრამ ზღვისპირა კლუბის მაინც არავის არაფერს დაუთმობენ.

— ჩვენს ჯგუფში „სტიაუა“, „რეშიცა“ და „სკოპიე“ კი არიან, მაგრამ არაა გამორიცხული, რომელიმეს ნაცვლად სამხრეთ აფრიკის ახალგაზრდული ნაკრები ჩაებას, ეს იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე უარს იტყვის. იყო საუბარი, რომ ჩვენთან მოსკოვის „ტორპედოსაც“ უნდა ეთამაშა, მაგრამ მათ უარი განაცხადეს ტურნირში მონაწილეობაზე. ერთი სიტყვით, ვეშხადებით, 26-ში გაეფრინდებით, უკან კი ფინალის მეორე დღეს, 15 თებერვალს, დაებრუნდებით. მეორე თასი და ჩემპიონატიც კარს მოგვადგება — დასძინა ბოლოს თამაზ ცინარიძემ.

„ბათუმის“ ვიცე-პრეზიდენტმა, ხუთივე ჯგუფის მონაწილენიც დაასახელა:

A ჯგუფი:

- „სტიაუა“ (რუმინეთი)
- „სკოპიე“ (მაკედონია)
- „რეშიცა“ (რუმინეთი)
- „ბათუმი“ (საქართველო)

B ჯგუფი:

- „ზაგლებიე“ (პოლონეთი)
- „ნაციონალი“ (რუმინეთი)
- „ლოკეჩი“ (ბულგარეთი)
- „ეკსტენსივი“ (რუმინეთი)

C ჯგუფი:

- „რაბიდი“ (რუმინეთი)
- ცსკა (რუსეთი)
- „ტერნანა“ (იტალია)
- „ბრაშოვი“ (რუმინეთი)

D ჯგუფი:

- „ვარდარი“ (მაკედონია)
- ვიეტნამის ახ. ნაკრები
- „პოლიტეხნიკა“ (რუმინეთი)
- „ასტრა“ (რუმინეთი)

E ჯგუფი:

- „ვისლა“ (პოლონეთი)
- „არგეში“ (რუმინეთი)
- „მეტალურგი“ (ზაპ. უკრაინა)
- „გომელი“ (ბელარუსი)

როგორც ხედავთ, ტურნირზე ნახევარი უმაღლესი ლიგითაა წარმოდგენილი რუმინეთი (9 გუნდი), ქვეყანა, რომლის ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრები საქართველოს ნაკრებთან მეტოქეა მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში.

ასე რომ, ახალი ქართულ-რუმინული ნაცნობობა პირველად იტალიაში შედგება. ჯერ „სტიაუა“...

გიორგი მავაპიძე

დეპერტაჟი ჩემპიონთა ლიგის პოლონეთში

პიევის „დინამოს“ ხელმძღვანელობამ ოფიციალური განცხადება გააკეთა — გუნდის წამყვანი ფეხბურთელები თანამეგობრობის ქვეყნების თასის გათამაშებაში არ იასპარეზებენ. მიზეზი ერთობ საპატიო აქვთ უკრაინელებს, ისინი გამაღვებით ეშხადებიან ჩემპიონთა ლიგის მატჩებისთვის, ამიტომ მოსკოვის „დინამოს“ სარეზერვო შემადგენლობა ესტუმრება. ჩვენდა სასიხარულოდ, მოსკოვში წამსვლელთა სიაში არ აღმოჩნდა „დინამოს“ ახალწვეული გიორგი დემეტრაძე, იგი კასა კალაძესთან და გუნდის ძირითად ბირთვთან ერთად შაბათს კვიპროსზე გაემგზავრება. ხმელთაშუა ზღვის ამ კუნძულსა ხელმწიფოში უკრაინელები ორკვირიან შეკრებას გაივლიან. იქიდან დაბრუნების შემდეგ კი ლობანოვსკი იმ ფეხბურთელთა გვარებს დაასახელებს, ვინც ჩემპიონთა ლიგის განაცხადში ძველ შემადგენლობას შეუერთდება. შევასხენებთ, რომ უკრაინის ჩემპიონს სამი ისეთი მოთამაშის დამატება შეუძლია, რომლებსაც ევროთასების მიმდინარე გათამაშებაში ძველი კლუბების შემადგენლობაში არც ერთი შეხვედრა არ ჩაუტარებიათ. ასეთი კი პირველ რიგში გიორგი დემეტრაძეა — ჩვენებურს ზომ უკრაინელი და რუსი ჟურნალისტები ერთხმად აღიარებენ სალიგო განაცხადის უპირველეს ფავორიტად.

რატომაც არა, ძნელი საფიქრალია, ვალერი ვასილის ძემ გზა არ დაულოცოს სუთმილიონიან ქართველ ფეხბურთელს. ასე რომ, დემეტრაძე ჩემპიონთა ლიგის მილოდინშია.

ბაბატა კვანტალიანი

ლოკომოტივი და კვარაცხელია ჯერ არ დამსხდარან

თბილისის „ლოკომოტივის“ სატრანსფერო საქმიანობათა შესახებ აქამდეც არაერთხელ ვაუწყეთ, რკინიგზელთა კლუბის შესახებ ინფორმაცია განსაკუთრებით საინტერესო გახდა მას შემდეგ, რაც „ლოკომოტივის“ სათავეში საქართველოს ეროვნული ნაკრების თანამწვრთნელი რევაზ ძიძუაშვილი მივიდა.

ახალმა მწვრთნელმა გუნდის საკონტრაქტო სისტემაშიც შეიტანა სიახლე — ამიერიდან „ლოკომოტივი“ ფეხბურთელებთან შედარებით გრძელვადიანი ხელშეკრულებების დადებას შეეცდება. ამის პირველი მაგალითი ექსდინამოელი და „თბილისის“ ნახევარმცველი გივი კვარაცხელია იქნება — ესეც გვაუწყეს რკინიგზის დეპარტამენტის საშეფოლან.

„ლოკომოტივი“ კარგა ხანია, ვარჯიშებს შეუდგა. კვარაცხელიაც რკინიგზელთა სხვა ახალწვეულებთან ერთად გუნდის ბაზაზე გადის წვრთნას და, ბუნებრივია, კლუბთან მისი ურთიერთობით დაინტერესდით.

— ჯერჯერობით ბოლომდე გარკვეული არაფერია. ვფიქრობდი, რომ „ლოკომოტივიან“ ერთწლიან ხელშეკრულებას მოვაწერიდი ხელს, მაგრამ რახან კლუბის ხელმძღვანელობა გრძელვადიანი კონტრაქტის გაფორმებას ცდილობს, არც ამას გამოვირცხავ — დავსხდებით, მოვილაპარაკებთ და როგორც უკეთესი იქნება, ისე გადავწყვიტოთ — გვითხრა ფეხბურთელმა.

მოლაპარაკებას რაც შეეხება, იგი სულ მალე გამართება.

ბონსტანტინე ზობიჯილი



გივი კვარაცხელია ლოკომოტიველია


სურსცილავა თამაშის შანსს ყველას მისცემს

დღეს, 14 საათზე, დიდმის საწვრთნელ ბაზაზე თბილისის „დინამო“ თავისი საშუაგუნდო საწვრთნელი ეტაპის პირველ სტადიას დაასრულებს და აქამდე გამართულ საკონტროლო თამაშებს მართაზ ხურცილაძეს ახალგაზრდულ ნაკრებთან შეხვედრით დაასრულებს. ეს მოსკოვში თანამეგობრობის თასზე გამგზავრების წინ (21 იანვარი) თბილისელთა ბოლო რეპეტიცია იქნება.

დინამოელთა შესახებ თითქმის ყველაფერი გარკვეულია, ინტერესს ხურცილაძე და მისი შეგირდები იწვევენ. მოგეხსენებათ, უახლოეს ხანებში (5-10 აპრილი) საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები საფრანგეთის სენტ-ჟან დე ლუზში საკმაოდ წარმომადგენლობით ტურნირში მიიღებს მონაწილეობას და, ბუნებრივია, საინტერესოა ჩვენი ახალგაზრდების მომზადების ამჟამინდელი დონე. „სარბიელი“ დაუკავშირდა მართაზ ხურცილაძეს, რომელმაც შემდეგი გვითხრა — საამმატჩო შემადგენლობა უკვე დადგენილი მაქვს, მაგრამ შეხვედრამდე არ ვაგამხებულ. ისე, ფეხბურთელთა გვარიანი რაოდენობა მივიწვიე ახალგაზრდულ ნაკრებში და თამაშის შანსი ყველას მიეცემა. ისინი თითო ტაიმს ითამაშებენ და დიდი მნიშვნელობა არ ექნება, ვინ როდის შევა მოედანზე. ძირითადად და სათადარიგოებზე სწორედ „დინამოსთან“ მატჩის შემდეგ შევიქმნით წარმოდგენას.

მაშ ასე, დღეს 14 საათზე დიდმის ბაზაზე — „დინამო“ — ახალგაზრდული ნაკრები.

ლუბა თალაგაძე



გერცხლი ჯანაშიას, პილიონი ლოკომოტივს

იტალიური შეკრებიდან ოთხი დღის წინ დაბრუნებულმა მოსკოვის „ლოკომოტივმა“ ერთი დღით შეისვენა და გუმინწინ ჩერკიზოვოს ბაზაზე ვარჯიშშიც ჩაატარა. მთლიან საწვრთნელ პროცესში არ მონაწილეობდა ზახა ჯანაშია. ქართველ ფეხბურთელს მცირე ტრავმა აწუხებს და სმერტინთან და ხარლაჩოვთან ერთად მხოლოდ ტრენაჟორებზე ვარჯიშითა და მსუბუქი ბუნძულით შემოიფარგლა. გუმინწინვე, სადამოს, „ლოკომოტივი“ სრული შემადგენლობით რკინიგზელთა კულტურის სახლს ესტუმრა. გადაჭედლდ დარბაზში რუსეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ვიაცესლავ კოლოსკოვმა ვერცხლის მიღებით დააჯილდოვა შარშანდელი ვიცე-ჩემპიონები. ზახა ჯანაშიას და მის თანაგუნდელებს კიდევ ერთი სასიხარულო ამბავი უნდა მიუვლოცოთ — ცოტა ხნის წინ „ლოკომოტივის“ ახალმა სპონსორმა, კომპანია „ტრანსტელეკომმა“ კლუბს მილიონი დოლარი გადაურიცხა.

ბაბატა კვანტალიანი

ბრძელი საბანი პეტიონარებისთვის

— შეგვიძლია ვთქვათ, რომ მწერ-
თნულ-ფეხბურთელებს, ფაქტობრივად,
არც დაუსვენიათ. 10 დეკემბრიდან და-
ვიწყეთ მზადება. ორი კვირა თავისუ-
ფალი ვარჯიშები გეკონდა. მოთამაშე-
ები თანდათან უჩვეოდნენ მინდორს,
ბურთს. 20 დეკემბრიდან წვრთნამ გე-
გმიური ხასიათი მიიღო, სერიოზულად
მოვიკიდეთ საქმეს ხელი. იმატა ვარ-
ჯიშების ხანგრძლივობამ, დატვირთვამ
და ასე შემდეგ.

— კი, ეს სასარგებლოა, მაგრამ
შეკრება ხომ შეუცვლელია. გვე-
გონა, „ვიტ ჯორჯია“ აქამდე ერთ
მოსამზადებელ ციკლს გაივლიდა.

— სინქარე და ფაქციური რა საჭი-
როა. განა ორი შეკრება საჭიროა არ
იქნება? ფეხბურთელები სამედიცინო
შემოწმებაზე გავიყვანეთ. ისინი მუ-
დამ ექიმთა კონტროლს ექვემდებარე-
ბიან. 15 იანვრიდან დასურული შეკ-
რება დაიწყო. აქვე თბილისში, ორჯე-
რალი ვარჯიშები, გაძლიერებული კვება,
ვიტამინები.


— თბილისში 1 თებერვლამდე იქნები-
ან. 4-დან კი ორკვირიანი შეკრება მო-
ეწყობა ანთალიაში.

— ჩვენებური კლუბები თურქულ
ვიზაჟებს მაინცდამაინც არ ემადლი-
ერებიან. მინდორის დეფიციტი და
საკონტროლო მატჩების სიმწირე
არცთუ სახარბიელოდ ყდერს.

— გაანია, ვისთვის როგორ. ყვე-
ლაფრის მოგვარება შეიძლება. „ვიტ
ჯორჯია“ ანთალიაში ხუთვარსკვლა-
ვიან სასტუმრო „კაია ბელეკში“ და-
ბინავდება. გუნდს ყოფითი და ორგა-
ნიზაციული პრობლემები არ ექნება.
სავარჯიშო მინდორი საჭიროზე მე-
ტხანს დაეთმობათ. სამი საკონტრო-
ლო მატჩი ძლიერ ევროპულ კლუბ-
ბთან გარანტირებულია. არა მგონია,
თურქულმა შეკრებამ ბიჭებზე უარყო-
ფითად იმოქმედოს.

— „ვიტ ჯორჯიაში“ ახალწვე-
ულებიც გამოიჩინდნენ. წამსვლო-
დამრჩენელთა ვინაობას ხომ არ
გაგვიხსენებთ?

— სანამ კითხვაზე გიპასუხებდეთ,
ერთ საკითხზე გავამახვილებ ყურად-
ღებას. „ვიტ ჯორჯიას“ მიზანი მუდამ
იყო და იქნება ძლიერი, შეკრული გუ-



გურამ რუხბაძე

ნდის შექმნა. ჩვენ მოთამაშეებს იმი-
ტომ ვიმატებთ, რომ რაღაც პოზიციე-
ბი გასაძლიერებელია და არა იმიტომ,
სხვებს მოვაკლოთ და მერე სათადა-
რიგოთა სკამი ვახეხნით.
ხანგრძლივი დაკვირვების შემდეგ
კლუბმა შეარჩია 12 ფეხბურთელი. მა-

ეროვნულ ჩემპიონატში პირველლიგელთა
უმრავლესობა სამეორენერო სამზადისს
კარგა ხანია შეუდგა. ზოგი თავისი ქალაქიდან
გასვლას არ აპირებს, ზოგს კი თურქეთი და
ამდაგვარი ქვეყნები ეცოტავება. ხომ
გავიგონიათ, საბანი სანამდეც გავწვდებო...
გუნდები სავარჯიშო პირობებს პატრონთა
შესაძლებლობების მიხედვით ირჩევენ.
საპრიზო ადგილებისთვის მებრძოლი „ვიტ
ჯორჯია“ ის გუნდია, რომელსაც ამ ზამთარს
ძალიან გრძელი და თბილი საბანი ათბობს.
ვეტერინარებისთვის უცნობია ყველანაირი
გასაჭირი, რაც ფინანსებს უკავშირდება.
კარგი კვება, ცხელი წყალი და სავარჯიშო
პირობები, დღევანდელ ყოფაში ფეხბურთის
სათამაშოდ მეტიც არაფერია სანატრელი.
„ვიტ ჯორჯიას“ სამეორენერო სამზადისსა
და სამომავლო გეგმებზე, როგორც
ყოველთვის, ამჯერადაც კლუბის
თავაკაცი გურამ რუხბაძე გვესაუბრება...

— როგორც აღრე იყო, ცნობი-
ლი, „ვიტ ჯორჯიას“ მთავარ სარ-
ბილოზე, მცხეთის „არმაზის“ ფი-
თომასტაბიანი საშუალები უნდა
დაწყებულყო. ამასთან დაკავში-
რებით ახალი ხომ არაფერია?

— დეკემბრიდან უკვე მიმდინარე-
ობს საშუალები ჩვენი უმთავრესი სა-
ზრუნავი საკუთარი სავარჯიშო მინ-
დორია და „ვიტ ჯორჯიას“ ასეთი ორი
ეწება: ერთი წილის საფარით, მეორე
— ბალახის მოვლიანი. პირველი უკვე
მარტისთვის, მეორე კი სექტემბრი-
სთვის გამზადდება.

იქვე აშენდება საცხოვრებელი კორ-
პუსიც და კლუბს თავისი, ძალიან
ღონის საწვრთნელი ბაზა ექნება. ამის შე-
მდე უშუალოდ სტადიონის რეკონსტ-
რუქცია დაიწყება. დამონტაჟდება ინდი-
ვიდუალური სკამები, კეთილმოწყობა
გასახდლები. პროექტი ასეა გათვალ-
ისწინებული, „ვიტ ჯორჯიას“ საკუთა-
რი 15-ათასიანი სტადიონი უნდა აქონდეს.

— ვეტერინარულ კლუბს სხ-
ვებისგან უცხოელი სპონსორებიც
გამოაჩვენეს. ისინი თუ მონაწი-
ლეობენ თქვენს პროექტებში?

— „ვიტ ჯორჯიას“ და მის სპონ-
სორებს შორის სრული ურთიერთგაგე-
ბა და კეთილი დამოკიდებულება სუ-
ფეხს „კელმე“, „გაითპოლი“, „მექს გრუ-
პი“, და „ფერრო“ გვერდში გვიდგანან.
სულ ახლახან „კელმესგან“ ახა-
ლი, სრული აღკაზმულობა მივიღეთ.
გუნდი ანთალიაში სწორედ ახალი ეტი-
პირებით გაემგზავრება.

— კლუბი თავისი ოფისის მოწყ-
ობასაც აპირებს.

— თამარაშვილის ქუჩაზე, 19 ნომე-
რში „ვიტ ჯორჯიას“ კეთილმოწყობი-
ლი ოფისი აქვს. მართალია, ვერ მისი
პრეზენტაცია არ შემდგარა, მაგრამ
არც ეს დროა შორს.

საერთოდ, ერთსაც ვიტყვოდი, გასუ-
ლი სამი წელი (ეს ის დროა, რაც
საფეხბურთო კლუბი „ვიტ ჯორჯია“
არსებობს) უქმად არ დაკარგულა. ჩვენ
ჩამოყვალდით და ნელ-ნელა ვიზრ-
დებით. ვცდილობთ, ყოველ წელიწადს
რამე ახალი შევიძინოთ და ასეც გა-
გრძელდება სრულყოფილებამდე.

მამუბა კვანტალიანი

ვიტ ჯორჯიას ახალი მისამართი

<http://www.wit-georgia.com>

ბერისთვის მიელი ეს ახსნა-გან-
მარტება ეგებ ენის მოჩვეულებით ლაპა-
რაკს ჰგავდეს, მაგრამ არამც და არამც
არ ითქმის ეს ქართულ კლუბებზე.
ლაპარაკი არ არის საინტერნეტო გვე-
რდებზე („ვიტ ჯორჯიას“ და კიდევ
ერთი გამონაკლისის გარდა), ქართულ
ფეხბურთთან დაკავშირების (არ იგუ-
ლისხმება სატელეფაქსო კავშირი) ოდ-
ენ 4 გზა არსებობს. ფედერაცია, „დინ-
ამო“, „კოლხეთი“ და „ვიტ ჯორჯია“
— აი, ისინი, ვისაც ელექტრონული
ფოსტის არსებობა გაუგიათ და თავი-
ანთ რეკვიზიტებში დღეს უკვე ასე სა-
სურველი საკუთარი საფოსტო (ელექტ-
რონული) მისამართი მიუთითებიათ. მა-
გრამ მოდით, ესეც ვნახოთ, რამდენი სა-
რგებლობს ამ სამსახურით და როგორ.
ptp@iberiapac.ge — ეს მისამართი
უეფას ოფიციალურ გამოცემებში „კო-
ლხეთს“ დაუჩვენებია. ძნელი მისახვე-
დრი არაა, რომ ptp ფოთის პორტს აღ-
ნიშნავს, @ საფოსტო მისამართის აუ-
ცილებელი ნიშანია, iberiapac იმ კედ-
ლის სახელწოდებაა, სადაც საფოსტო
ყუთი „კილია“, de კი იმ ქვეყნის, ამ
შემთხვევაში საქართველოს, „გვარია“,
სადაც საფოსტო ყუთიანი კედელი დგას.

ტონად რომ ვთქვათ, მას ახალი ნა-
ცნობისთვის მეზობლის მობილურის
ნომერი მიუცია და თანაც მაშინ, რო-
ცა მობილურიან მეზობელს ბინა გა-
მოუცვლია.
kasadinamo@t-online.de — ეს, ალ-

ბათ, მიხვდით, „დინამოს“ ელექტრონუ-
ლი ფოსტის მისამართია. გაუგებარია,
რას ნიშნავს kasa და ახლა ამის აძოხ-
ნნას არც შეუძლებთ, t-online გერ-
მანული სატელეფონო კომპანია „დინამო“
ტელეკომის“ „საფოსტო კედელია“, de

თავად გერმანიის საინტერნეტო სერია.
უცხოური ქვეყნების საფოსტო სერ-
ვისის გამოყენება ცუდი ტონია და
„დინამოს“ შემთხვევაში მას შეიძ-
ლება ერთადერთი გამართლება პი-
ნდეს — ჩემპიონის შესვენებმა ეს
საფოსტო ყუთი მაშინ გაიჩინეს, რო-
ცა საქართველოში ელექტრონული ფო-
სტის არსებობის შესახებ ძალიან ცო-
ტამ თუ იცოდა. ყველა შემთხვევაში
„დინამოს“ მისამართი დაუძველდა —
მაშინ, როცა სახელმწიფო ავტონის-
პექციამ საკუთარი საწომრე ნიშნები
შემოიღო, „დინამო“ კვლავ უცხოური
ნომრებით დადის.

რაც შეეხება ფედერაციას, მისი მი-
სამართი gffburti@caucasus.net შე-
დარებით ახალგაზრდაა, ისევე როგო-
რც მისი „კედელი“. უცხოური სერვისი net
კი საერთაშორისოა, ისევე როგორც
com, org თუ სხვა. და ერთ კონკრე-
ტულ ქვეყანას სულაც არ აღნიშნავს.

„ვიტ ჯორჯიას“ აქამდე მშობელი
კომპანიის wit@geonet.ge-თი სარე-
გობობა. ახალი ოფისის (საინტერნე-
ტის) გახსნის მერე კი წინ საფეხ-
ბურთო კლუბის აღმნიშვნელი ორი
სიმბოლო წაუძმდვარა და ახლა ასე
გამოიფურება: fcwit@geonet.ge

ისე გამოვიდა „ვიტ ჯორჯიას“ სა-
ინტერნეტო გვერდზე უფრო, მიმდევ-
რის ერთ-ერთ უაფვეს საშუალებაზე
E-mail-ზე (E-ელექტრონული mail-
ფოსტა, წერილი) ვილაპარაკეთ, მაგრამ
სანამ ეს საჭიროა, სხვა რა გზაა.

სამომავლოდ კი, იმედია, სხვებსაც
გაუჩნდებათ საკუთარი ოფიციალური
გვერდის ინტერნეტში განთავსების
სურველი და ვიტყვით სამსაქმო
ჩემპიონობას იოლად არ დაანებებენ.

მამუბა კვანტალიანი

P.S. სამართლიანობა მოითხოვს ვი-
ქვათ, რომ პირველი ქართული კლუ-
ბი, რომლის სახელზეც ინტერნეტ გვე-
რდი გაკეთდა, „მრეტები“ იყო. მაგრამ
რაკი ის თავად „მრეტების“ პრეზი-
დენტ ვაჟა მხაიძის გვერდს უფრო
ჰგავდა და თანაც უკვე მიუწვდომე-
ლია (ელტობა, გადაუხდელია გამო),
სავანებოდ აღარ ავგვინიშნავს.



მერანი პატრონს ელის მწვრთნელი კი დაუბრუნდა

თბილისის „მერანისთვის“ მეთერთმეტე ეროვნული ჩემპიონატის პირველი ეტაპი მძიმე გამოდგა. გუნდმა პატრონ-მარჩენელიც დაკარგა და ვერც რვა საუკეთესოთა შორის მოხვდა. ყველაზე მტკივნეული მერანელებისთვის მაინც ნუგზარ ნავაძის ფეხბურთიდან წასვლა გახლდათ. გემახსოვრებათ, „მერანის“ განაწესებული პრეზიდენტი ქართულ ფეხბურთს დიდი ხნაურით დაშორდა. საქმე სკანდალამდე მიდიოდა, თუმცა მდგომარეობა თავად ფეხბურთელებმა განმუხტეს, რომლებმაც უსაქმოდ ყოფნას უხელფასოდ თამაში არჩიეს. „მერანმა“ პირველი ეტაპი ავად თუ კარგად ჩაამთავრა, მერე კი გუნდი გაურკვევლობამ მოიცვა.

გასული წლის დეკემბერში „მერანი“ ვიცე-პრეზიდენტმა ბესიკ მაღრაძემ დატოვა. მთავარი მწვრთნელი თემურ ჩხაიძეც თავის გზას ეწია — რეგულარულად მუშაობდა იგი „ლოკომოტივში“ თავის თანაშემწედ მიიწვია. ჩხაიძის დამხმარე, ერთ დროს კი „მერანის“ თავკაცი, სერგო გაბელაიაც რა ხანია გერმანიაში სტაჟირებაზე წასვლას აპირებს და გუნდიდან ფაქტობრივად წასული გახლდათ. ყოფილ ტრანსპორტელებსაც მფარველად ტექნიკური დირექტორი ანზორ მამალაძე და შემორჩათ.

გუნდის „მერანის“ ამბების გასაგებად ბატონი ანზორი მოვიხაზულეთ. მამალაძე აღრინდელთან შედარებით უფრო იმედიანი გვეჩვენა. „რაც არ უნდა მოხდეს, „მერანი“ მეორე ეტაპზე ითამაშებს, ყველანაირად ვეცდებით, პირველ ლიგაში ადგილი შევიწინარწუნოთ, გვითხრა მან. მიხივე თქმით, ფაქტობრივად გადაწყვეტილი ყოფილა ახალი პატრონის საქმეც. გუნდით საკმაოდ სერიოზული ხალხი დაინტერესებულა, რომლებსაც „მერანის“ სათავეში მოსვლა და კლუბის გაძლიერება განუზრახავთ. აღსანიშნავია, რომ ამ ამბით ნავაძეც კმაყოფილი დარჩენილა და მათთვის ხელის შეშლას არ აპირებს. ახალი სპონსორის საქმე უახლოეს მომავალში საბოლოოდ გადაწყდება, მანამდე კი გუნდის პრეზიდენტიც, ვიცე-პრეზიდენტიც და ტექნიკური დირექტორიც ანზორ მამალაძეა. რაც შეეხება საწვრთნელ პროცესს, „მერანი“ ვარჯიშს სერგო გაბელაიას ხელმძღვანელობით 15 იანვარს შეუდგა. როგორც შევითქვეთ, გაბელაია „მერანში“ მიბრუნებულია და თუ გერმანიიდან ვიზა არ ჩამოუვიდა, მეორე ეტაპზე ამ გუნდს უხელმძღვანელებს.

„მერანიდან“ ორი ფეხბურთელი წასულა. ედიშერ ალადაშვილი და გურამ ხარებავა ამჟამად „არსენალში“ ვარჯიშობენ, თუმცა არ არის გამოცხადებული, ორივე მათგანი ძველ კლუბში დაბრუნდეს. მიუხედავად უფულობისა ავტოლელებს ახალი ფეხბურთელებიც შეემატნენ. ალექო კოშკაძე, ზურაბ ავალიანი, ლევან მელიქია, შოთა კვანტალიანი და აკაკი მიკუჩაძე სერგო გაბელაიამ ოჩაძირის „ამირანიდან“ გადმოიყვანა. მოგეხსენებათ „ამირანი“ „მერანის“ ფარმ-კლუბად ითვლება. ამ ხუთეულის გარდა „მერანის“ ღირსებას მეორე ეტაპზე ქოიავა, დიდი და მოსულიშვილიც დაცავენ.

გუნდის ავტოლელებმა პირველი საკონტროლო მატჩი გამართეს, „სინათლეზე“ თბილისის „ლოკომოტივს“ დაუპირისპირდნენ და ფრედ 2:2 ეთამაშნენ. „მერანი“ დღეს კიდევ ერთ ამხანაგურ შეხვედრას ჩაატარებს — ამჯერად სოხუმის „ცხუმთან“. მესამე მატჩი კი 24 იანვრისთვის აქვთ დაგეგმილი, სავარაუდოდ ისევ ძიძუაშვილის „ლოკომოტივთან“.

გაბელაია შევირდებს მეორე ეტაპისთვის თბილისში მიაშხადებს, ახალი სპონსორის გამოჩენის შემთხვევაში კი შეკრების მოწყობაც არ არის გამორიცხებული.

განო ოტროპირიძე



სერგო გაბელაია კვლავ „მერანს“ უთავგადაცებს

საშუაასეორო მიდი-მოდო

I-VIII	განსხვავებულები	ახალწვეულები	მატჩები
ტორპედო <i>დავით ყიფიანი</i>	მანანიშვილი (სოფი), ვანაშა (სამგურალი), ვამისურაძე (თბილისი), შაბერძნე (თავისუფალიაგენტი)		
დინამო <i>თათარ კონდალიძე</i>	ამფთია (აღსანი, რუსეთი), ალექსიძე (ჩელსი, ინგლისი), ლომია (ლოკომოტივი), შირაქიშვილი (სპარტაკო, ვარნა, ბულგარეთი), ხომერიკი (ბათუმი), თ. კობიაშვილი (ვიტ ჯორჯია)	გოგინაშვილი (ლოკომოტივი), კრიძეძე (ქაფაზი, აზერბაიჯანი), ქეშელიძე, ვეველსიანი, ზამთარაძე, რუხაძე, მიქაძე, ა. ჩხრაძე (თბილისი), დათუაძე (სოფი), შელია (მანჩესტერ სიტინგსი), ლობჯანიძე (უფვას მიერდის კვალთვი ცირებულოიკო), გადელია (ბათუმი)	ვიტ ჯორჯია 3:2, თბილისი 1:0,5, ლოკომოტივი 1:2
კოლხეთი <i>ვია ტყეშელაშვილი</i>	ქობინელიძე (?)	მ. ქობულაძე, შვეგულიძე (ლოკომოტივი)	
ბათუმი <i>ჯანი კარნუაძე</i>	პაპიძე (თბილისი), კანტაძე (თამაში მიატოვა), გადელია (დინამო), უვაკვი (?)	ხომერიკი (დინამო), ჩლაძე, თარგამაძე (არსენალი), მეტრიაშვილი (სამგურალი), ბარნოვი (ლოკომოტივი), გ. ნოზაძე (საუ), კაკაბაძე (ცხუმი)	
ვიტ ჯორჯია <i>სერგო კოტრიკაძე</i>	კ. ალადაშვილი, მანანიშვილი (ლოკომოტივი)	ლ. მელქაძე (თბილისი), ი. ნაჭაბურიძე (სამგურალი), მერლანი, ახალაძე (თსუ), თ. კობიაშვილი (დინამო), ვ. კაკაშვილი (თბილისი)	ზოვიცკი 5:0, დინამო 2:3, თსუ 6:4
სიონი <i>სპარტაკ არსენიძე</i>	დათუაძე (დინამო), დ. გოდერძიშვილი (ლოკომოტივი), ნ. მინდაიშვილი, მ. მინდაიშვილი (?)	მანანიშვილი (ტორპედო), ისანი (თბილისი), დაუშვილი (არსენალი)	
დილა <i>მერაბ კოჭლაშვილი</i>			
იბერია <i>სოსო ფრუიძე</i>			


IX-XVI	განსხვავებულები	ახალწვეულები	მატჩები
ლოკომოტივი <i>რევაზ ძიძუაშვილი</i>	გოგინაშვილი (დინამო), მ. ქობულაძე, შვეგულიძე (კოლხეთი), ბარნოვი (ბათუმი), დ. ჯანელიძე, დოლაბერიძე (?)	ლომია (დინამო), ვერაცხელია, ზ. ხინიანიშვილი (თბილისი), ხუროცი (სკონტო, ლატვია), ძიძუაშვილი (სამგურალი), რ. ახალაძე (მუშენი, ბულგარეთი), გამცემლიძე (ტრავნის გამართამზობდა), დ. გოდერძიშვილი (სოფი), პარამონოვი (თბილისი), კ. ალადაშვილი, მანანიშვილი (ვიტ ჯორჯია), ვ. ველუი (მეტალურგი, ლიბეცკი, რუსეთი)	დინამო 2:1, მერანი 2:2
გორდა <i>აისონ ალადაშვილი</i>			
თსუ <i>თეფიზ კაცია</i>	მერლანი, ახალაძე (ვიტ ჯორჯია), ნინუა (?)	ფუტკარაძე (ინტერი), ვავაზიშვილი (განთიადი), ნანიშვილი (ცხუმი), სულავა (სოფი, დინამოელი)	ვიტ ჯორჯია 4:6
მერანი <i>სერგო გაბელაია</i>	ხარებავა, ე. ალადაშვილი (არსენალი)	კოშკაძე, ავალიანი, მელიქია, კვანტალიანი, მიკუჩაძე (ამირანი), თ. დოლიძე, ქოიავა, მოსულიშვილი (?)	ლოკომოტივი 2:2
თბილისი <i>რამაზ შუქლიძე</i>	ქეშელიძე, თ. ვეველსიანი, ზამთარაძე, რუხაძე, მიქაძე, ა. ჩხრაძე (დინამო), ვერაცხელია, ზ. ხინიანიშვილი (ლოკომოტივი), აბრამიძე (ტორპედო, მოსკოვი, რუსეთი), ისანი (სოფი), ლ. მელქაძე (ვიტ ჯორჯია), ვ. გაბუა (სკონტო, ლატვია)	გონჩაროვი (არსენალი), ვ. მისურაძე (ტორპედო), პაპიძე (ბათუმი)	დინამო 5:10
სამგურალი <i>აისონ ბნაკაძე</i>	ძიძუაშვილი (ლოკომოტივი), ი. ნაჭაბურიძე (ვიტ ჯორჯია), მეტრიაშვილი (ბათუმი), კობიაშვილი (XX საუკუნე)	კ. ვანაშა (ტორპედო), გაბუნია (მეტალურგი), ვ. ვანელიძე (ტრავნის გამართამზობდა)	
სოფი <i>ფრიდონ ვოცირიძე</i>			
არსენალი <i>მაშუკა ვეველიძე</i>	ჩლაძე, თარგამაძე (ბათუმი), გონჩაროვი (თბილისი), ლაცაბიძე (სპარტაკო, ვარნა, ბულგარეთი), დაუშვილი (სოფი)	ხარებავა, ე. ალადაშვილი (მერანი)	

შენიშვნა: ტრანსფერტა დიდი ნაწილი საბოლოო არ არის

გაყიდის ნუნისი რივალდოს?



რივალდო



ხოსეპ ლუის ნუნისი

„ბარსელონას“ პრეზიდენტმა ხოსეპ ლუის ნუნისმა, ოფიციალურად პირველად განაცხადა, რომ ბრაზილიელ რივალდოს გაყიდის, თუ მწვრთნელსა და ფეხბურთელს შორის კონფლიქტი არ მოგვარდება და კლუბი ხელსაყრელ წინადადებას მიიღებს.

ცნობილია, რომ „ბარსას“ თავკაცმა ლუის ვან გაალმა მცირე კონფლიქტის გამო მსოფლიოსა და ევროპის საუკეთესო ფეხბურთელი პრიმერადივიზიონის ორ შეხვედრაში არ ათამაშა. ნუნისმა კომენტარი გააკეთა ამის თაობაზე და განაცხადა, რომ კატალონიურ კლუბში ტრადიციულად ასე იყო: ის ფეხბურთელი, რომელიც უკმაყოფილებას გამოთქვამდა, გუნდს ტოვებდა. მან არ გამოიხატა, რომ რივალდოს შემთხვევაშიც, შესაძლოა იგივე განმეორდეს.

„თუ რივალდო „ბარსელონაში“ თამაშით კმაყოფილია, ჩვენ მონარუნლი ვიქნებით და მის შენარჩუნებას ყოველნაირად შევეცდებით. იგი ხომ კლუბის უძვირფასესი შენაძენი და გასული წლის საუკეთესო ფეხბურთელია, მა-

გრამ, თუ სხვაგვარადაა, ვერაფერს გავხდებით და მისი გაყიდვა მოგვიწევს. ამ შემთხვევაში მხოლოდ იმით დავეხმარებით, რომ ახალ კლუბს მივუძებნოთ“ — განაცხადა ნუნისმა ესპანური პრესისთვის მიცემულ ინტერვიუში.

რივალდო უკმაყოფილო იყო იმის გამო, რომ ვან გაალი მას შეტყვის მარცხენა ფლანგზე აყენებდა, ბრაზილიელს კი ცენტრში თამაში სურდა. თუმცა მას შემდეგ, რაც მთავარმა მწვრთნელმა იგი დასაჯა და ორ შეხვედრაში არ ათამაშა, რივალდო აცხადებს, რომ იმ პოზიციაზე ითამაშებს, სადაც ვან გაალი გამაყენებს და ამასთან დაკავშირებით პრობლემები აღარ შეექმნება. ამრიგად, კონფლიქტი თითქოს მოგვარდა, მაგრამ მითქმა-მოთქმა რივალდოს „ბარსელონაში“ წასვლის შესახებ კვლავ გრძელდება.

ესპანური პრესა იუწყება, რომ კატალონიური გუნდი რივალდოს გაყიდვის შემთხვევაში დაახლოებით 6 მილიონ დოლარს მოითხოვს. ამ თანხად კი ჯერ მსოფლიოს არც ერთი ფეხბურთელი არ გაყიდულა.

ნიკა შუბლაძე

ფიფა სქოთების წინააღმდეგ

ფიფას ვიცე-პრეზიდენტმა დევიდ ვილმა კატეგორიულად გააფრთხილა შოტლანდიური კლუბების „სელტიკისა“ და „რეინჯერსის“ ხელმძღვანელობა, ფიფას კანონებს დაემორჩილონ და მათ გარეშე ყოველგვარი არაოფიციალური საფეხბურთო ლიგის შექმნის განხორციელება შეეწყვიტათ.

სქოთების ფიფასა და უეფას თანხმობის გარეშე მართლაც განუზრახავთ ევროპულ ფეხბურთულ ატლანტიკური ლიგის შექმნა, სადაც მათივე გეგმით, შოტლანდიის, პოლანდიის, პორტუგალიის, ბელგიისა და სკანდინავიური ქვეყნების — დანია-ნორვეგიის წამყვანმა გუნდებმა უნდა იასპარეზონ.

„მათი გადაწყვეტილებების გაპროტესტებასა და წინააღმდეგობას არავინ აპირებს, მაგრამ რადგანაც მსოფლიოს და ევროპის ფეხბურთის მმართველები ფიფა და უეფა არიან, მსგავსი გადაწყვეტილებები მათთან უნდა შეთანხმდეს — განუცხადა ვილმა გაზეთ „DAILY RECORD“-ს და იქვე დაამატა — ვიშორებ, რომ ატლანტიკური ლიგის შექმნას არ გამოვიტყობთ, თუმცა ამ გაერთიანებამ ჯერ უეფას, ხოლო შემდეგ ფიფას სათანადო ნებართვა უნდა მიიპოვოს“.

როგორც ირკვევა, შოტლანდიელებს ახალი ლიგის შექმნა მართლაც სერიოზულად განუზრახავთ და სათანადო პროექტსაც ამზადებენ. მათი აზრით, ახალი ტურნირი პოპულარობას მალე მოიპოვებს და წამყვანი სატელევიზიო გიგანტებსაც დაინტერესებს. ამის შესახებ „სელტიკის“ მმართველმა კენი დალგლიშმა, გასულ შაბათს გამართულ პრესკონფერენციაზე

ისაუბრა: „ნამდვილად არ შეგვიძლია, გულზე ხელები დავიკრიფოთ და შექმნილ ვითარებას მშვიდად ვაღვივოთ თვალთ“.

შოტლანდიური ფეხბურთის როლი საგრძნობლად დაეცა. ამგვარად ფიქრობენ აქ წარმოდგენილი დანარჩენი ქვეყნების წარმომადგენლებიც. ერთ დროს ქუნდა პოლანდიური ფეხბურთი, შოტლანდიური, ბელგიური და პორტუგალიური გუნდებზეც იგივე ითქმის, დღეს კი მათთან მხოლოდ სახელია დარჩენილი.

ეს ყველაფერი იმ პერიოდში ხდება, როცა დანარჩენი ევროპაში საფეხბურთო ბუმი. ახალი ატლანტიკური ლიგის ჩამოყალიბებაზეც ამიტომ ავლავარაკით. მე პირადად არ ჩაგრეულვარ, თუმცა უახლოეს მომავალში ალბათ ყველაფერს სათანადოდ განვიხილავ, რადგან ვთვლი, რომ ამ საქმეში პასიურობა „სელტიკს“ სასიკეთოდ არ წაადგება“.

„რეინჯერსის“ თავმჯდომარე დევიდ მურიმაც თითქმის იგივე მოსაზრება გამოთქვა: „მსგავსი ლიგის შექმნაზე საუბარი აქამდეც იყო. უფრო სწორად ჭორები დადიოდა, მაგრამ სერიოზული შეთანხმებისთვის არავის მიუღწევია. ევროპის მასშტაბით ჩემპიონთა ლიგა უკვე არსებობს და ეს უდიდესი ტურნირია. მაგრამ ვთვლი, რომ გარდა ჩემპიონთა ლიგისა და უეფას თასისა, რეგიონალური შეჯიბრებებიც უნდა არსებობდეს — ატლანტიკური ლიგა კი ალბათ მსგავსი ასპარეზობა იქნება და მისი ჩამოყალიბება აშკარად წინააღმდეგობრივი ნაბიჯია. მართალია ამ ყველაფერის ორგანიზება არც

ფილ გორდონი, როიტერი



იტალიურმა „ვენეცია“ ავსტრიული „ზალცბურგთან“ მცველი რობერტ იბერსტერგერი შეიძინა. ავსტრიის 21-წლამდელთა ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი ახალ კლუბში სამი წლით გადაბარდა, კონტრაქტის ღირებულება კი 2 მილიონი დოლარით განისაზღვრა. ამჟამად „ვენეცია“ სერია A-ს გათამაშების ცხრილში მე-16 ადგილზეა, თუმცა ბოლო დროს საკმაოდ მოძიერდა. ცოტა ხნის წინ გუნდმა „მილანიდან“ ფორვარდი მარკო კაპელი და ნახევარმცველი პიერლუიჯი ორლანდინი ითხოვა. შედეგად არ დაახანა და „ვენეცია“ ორ სამინაო შეხვედრაში მრისხანე „ლაციო“ და „ფიორენტინა“ დაამარცხა.

ხორვატიის მცველმა კარუნოსოვ იურჩიჩმა იტალიურ „ტორინოსთან“ სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ტურინულმა კლუბმა „ზაგრების“ ყოფილ ფეხბურთელში 1 მილიონი დოლარი გადაიხადა. როგორც კი სათანადო სამედიცინო შემოწმებას გაივლის, იურჩიჩი იტალიაში ჩავა და ახალი კლუბის მაისურას მოირგებს. მის საყუთარო ქვეყნის ეროვნულ ნაკრებში 16-ჯერ უთამაშია, ხორვატიის ნაკრებთან ერთად კი 1998 წელს მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაო მოუპოვებია. „ტორინომ“ სულ ახლახან ინგლისურ „სანდერლენდში“ ფრანგი მცველი დიჯაბრილი დიავარა გაუშვა და მის შემცვლელად სწორედ იურჩიჩი იყიდა.

იტალიურმა მილანის „ინტერმა“ მადრიდის „რეალთან“ პოლანდიელი ნახევარმცველის — კლარენს ზედორფის შეძენის შემდეგ სულ ერთ თვეში მისი უმცროსი ძმა, 16 წლის სედრიკ ორლანდოც გადაიხიდა. უმცროსი ზედორფი პოლანდიის 16-წლამდელთა ნაკრების წევრია, თავისი ძმის მსგავსად, ისიც ნახევარმცველია და აქამდე ამსტერდამის „აიაქსისა“ და მადრიდის „რეალის“ სარეზერვო გუნდში თამაშობდა. მილანურ კლუბს ტრანსფერის ოფიციალური ღირებულება ჯერჯერობით არ დაუსახელებია.

უნბრამის ნაკრებისა და გერმანული ბერლინის „ჰერტას“ მეკარე გაბორ კირალი ვარჯიშისას დაშავდა. პორტუგალიაში გუნდთან ერთად შეკრებებზე მყოფი კირალი სამედიცინო ცენტრში დაბრუნდა. 23 წლის გოლიგერი „ჰერტას“ კარის ძირითადი დარჩა, ამიტომ მთავარ მწვრთნელს მისი სახით სერიოზული პრობლემა შეექმნა. შეგახსენებთ, რომ გერმანიის ჩემპიონატი 4 თებერვალს განახლდება, გარდა ამისა, ბერლინურ გუნდს 1 მარტს პრადის „სპარტას“ წინააღმდეგ ჩემპიონთა ლიგის შეხვედრა ელის.

რუსულა ყინვა იტალიაშიც შეაღწია

იტალიური ფეხბურთის მოყვარულნი იანვრის ბოლო უქმეებზე სერია A-ს მატჩების საცქერლად ტელევიზორებს მიუსხდებიან, თუმცა „ჯალოსური ყუთი“ შესაძლოა უფრო სხვა რამეს აჩვენებდეს. არა, სატელევიზიო გადაცემათა პროგრამაში დრო შეცვლით არ არის ნაჩვენები, მიზეზი სხვაა.

იტალიის ფეხბურთელთა ასოციაციის (პროფკავშირის მსგავსი გაერთიანება) წარმომადგენელმა სამშაბათს განაცხადა, ფეხბურთელები საპროტესტო აქციის მოწყობას გეგმავენ, მისი არსიც მინდობზე 30 წუთის დაგვიანებით გამოსვლა იქნება. რომ გვევლინა, ჩვენ ვიკითხოთ, თორემ იტალიელებს საფეხბურთო მუშაობა შეეცაროდა საათივით აქვთ აწყობილი, არც ასეა საქმე ნუ გაიკვირვებთ და პროტესტის ერთ-ერთი მიზეზი დაგვიანებული თუ გაუცემელი ხელფას-პრემიები ყოფილა. მაგნი გაიკვირვებს, სად უქლიერესი იტალიური ჩემპიონატი და სად გაუცემელი ხელფასები. მაგალითები იწებო, სერია C-ს ბინადარ „კატანიას“ როკო მაკრის ოთხი წლის ფული მართებს. გამწარებულ ფეხბურთელს ბოლოს (დიდხანს კი თმინა) სასამართლოშიც უჩივლია. თუმცა „კატანია“ და ქვედა ჯგუფები რა სახსენებელია, როდესაც სერია A-შიც იგივე ხდება. „რომა“ ჯორჯო სტერჩილეს და ფრანჩესკო სტატუტოს კუთვნილს არ აძლევს. მერე რა, რომ ეს ბოჭები ძირითადად არ თამაშობენ, ოჯახები მათაც ჰყავთ.

გაცივების მერე მიზეზი ასეთია, ფეხბურთელები ჩივიან, ზამთარში გაყინულ მინდორზე თამაში სახიფათოაო (აკი მოსკოვში ჩასული დევიდ ოლირიც იმავეს ამტკიცებდა). ისინი ზამთრის პერიოდში სალამოს მატჩების ადრე გამართვას ითხოვენ. ჩემპიონატის ორგანიზატორები იხვეწებიან, ახლა გვაცალეთ და მომავალი სეზონიდან მაგ საკითხს მოგავაგრეთო.

ანდრეულ პრობლემებს უახლოეს დღეებში უნდა მოეღოს ბოლო. თუ 30 იანვარს ტელევიზორებს მიუსხედით და მატჩები დაგვიანებით დაიწყო, ესე იგი ვერ შეთანხმებულან.

გიორგი ღარჯანი

აშხანაპური მატჩი

მაროქო 1:0 ტრინიდადი და ტობაგო

1:0 მუსტაფა შაჰი (34)
მაროქოსა და ტრინიდადის ნაკრებებმა სამშაბათს აშხანაპური შეხვედრა გამართეს. აფრიკელებმა მეტოქე პრემიერლიგული მუსტაფა შაჰის ერთადერთი გოლის წყალობით 1:0 დაამარცხეს. ტრინიდადის ნაკრებში „მანჩესტერ იუნაიტედის“ ფორვარდ ლუატი იორკს არ უთამაშია. შეგახსენებთ, რომ მაროქოელები აფრიკის თასის გათამაშებისთვის ემზადებიან და ეს მათი ბოლო სპარინგ-მატი გახლდათ. „უახლოეს დღეებში აფრიკის თასის გათამაშებაში ჩაგვბმებით. აქედანვე ნათელია, რომ ჯგუფიდან გასვლა საკმაოდ ძნელი იქნება, თანაც შეტყვის სახში მცირე პრობლემები გვაქვს“ — აცხადებს მაროქოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი ანრი მიშელი.

ოლიმპიადის შესარჩევი ტურნირის ამოთხაპლზინალი

ურუგვაი 2:0 პერუ
1:0 პაბლო გარსია (6), 2:0 ხოსე ფრანკო (33)
პრინციპალი 3:1 პარაგვაი
0:1 კანდო (40), 1:1 კუფრე (45), 2:1 პლატენსე (74), 3:1 ლეო ბიჯინი (82)

ინგლისი

თასის მერვედფინალის წილისყრა 29 იანვარი
ჯილინგემი (I) — უენსდი; ევერტონი — ჰესტონი (II); ქოვენტრი — ჩარლტონი (I); კემბრიჯი (II) — ბოლტონი (I); ფულემი (I) — ტრანშერი (I);
30 იანვარი
ასტონ ვილა — ლიფსი; ჩელსი ან ნოტინგემი — ლესტერი ან არსენალი
31 იანვარი
ბლექბერნი (I) — ნიუკასლი

გელგის

ლივის თასის ამოთხაპლზინალის წილისყრა 26 იანვარი
ლიერსი — ბრიუგე
1 თებერვალი
პარულბეკე — ანდერლხტი
თასის მეოთხედფინალის წილისყრა
გენტი — გენტ; სტანდარდი — მონსი (III); ლიერსი — ლოკერენი; სენტ ტრუიდენი — აალსტი ან ბერსხხოტს;
მატჩები გამართება 26 და 27 თებერვალს. მერვედფინალის გადაწყვეტილი მატჩი „აალსტისა“ და „ბერსხოტს“ შორის გამართება 2 თებერვალს.

არაღებამტოვრი აბზაპი

როგორ ფიქრობთ, ვინ ჩავიდა კუბის აღმოსავლეთ ქალაქ ოლგინში ჩე გვერას გამოსახულებიანი მისურით? ცხადია, დიეგო მარადონა.

ვისაც ჩე გვერას ვინაობა დაგავიწყდათ, შეგახსენებთ, რომ ეს არგენტინელი მემბროზე ფიდელ კასტროსთან ერთად კუბაზე მთელი ორი წლის განმავლობაში ეწეოდა პარტიზანულ ომს, რომელიც 1959-ში ცნობილი რევოლუციის გამარჯვებით დასრულდა. კუბაში რომ მოიომა, ჩე, რომლის ნამდვილი სახელი ერნესტო გახლდათ, ლათინური ამერიკის ყველა შეიარაღებულ კონფლიქტში მონაწილეობდა, რაც, საბოლოოდ, სადაც ბოლივიაში მისი დახვეწებით დასრულდა. მემბროსის ამბავი ამით არ დასრულდება, მის გვამს ხელები მოაჭრეს (ნივთმტკიცებად სჭირდებოდათ), რომელიც ფიდელ კასტრომ მონადირა და თავისთან, ჰავანაში დააწყო — ამ ხელებმა გაგვათავისუფლეს ბოროტი

კაპიტალისტებისგანო. და აი, ფეხბურთის ისტორიის ერთ-ერთმა გენიოსთაგანმა, 39 წლის დიეგო მარადონამ „თავისუფლების კუნძულზე“ ფეხი ჩეს გამოსახულებიანი მისურით დადგა: „მეც მემბროზე ვარ ამ მახინჯ სამყაროში“ — თქვა მან ოლგინის აეროპორტში.

„სარბიელის“ მკითხველთ მარადონას კუბაზე ჩასვლის ამბავი გუშინდელი ნომრიდანაც მოეხსენებოდათ. მაგრამ დღეს, ახალ ცნობებზე დაყრდნობით, რაღაც-რაღაცების დაზუსტება შეგვიძლია. თუ ეს რაიმეს იძლევა, დაიწყეთ იმით, რომ კუბის სახელმწიფო ავიაკომპანიას, რომელიც ხალხს არგენტინიდან და არგენტინაში დაატარებს და რომლის მორიგი რეისითაც 1986 წლის მსოფლიოს ჩემპიონმა სამშაბათს, თბილისის დროით შუადღის ოთხის ნახევარზე კასტროს საუფლოში ფეხი ჩადავა, „კუბანა დე ავიაციონ აირლანდი“ ეწო-

დებოდა. კიდევ, იმ ხალხის ჩამონათვალს მარადონას კუბაზე რომ ახლავან. მისი დედა და საეჭვოდ ცნობილი, მაგრამ განუყრელი მენეჯერი გილერმო კოპოლაც დაემატოთ. თუმცა მთავარი, არგენტინელის ვიზიტის მიზეზი, ამით არ იცვლება, იგი „თავისუფლების კუნძულზე“ ნარკომანობისგან სამკურნალოდ და შერყეული ჯანმრთელობის აღსადგენად ჩავიდა. მკურნალობის სავარაუდო ვადა 3 ან 6 თვე გახლავთ.

კლინიკა, რომელშიც დიეგო რეაბილიტაციას გაივლის სწორედ ოლგინთანაა, მაგრამ ჩასვლის დღეს განარკობაზე ვიჭრებით. ვიჭრებით გზა ოდნავ გაივრძელა. ოლგინის აეროპორტში ხანმოკლე პრესკონფერენციის და სალამ ქალამის შემდეგ იგი ჰავანას გაემგზავრა, სადაც იქაურ ექიმებსაც ეჩვენა და, როგორც ამბობენ, ფიდელ კასტროც მონახულა.

ოლგინის აეროპორტში ჩესმისურიანმა თქვა: „გულწრფელად მივესალმები კუბელ ხალხს. იმედს გამოვთქვამ, რომ ჩემი გული ძველებურად ფეთქავს და ერთი ხნის შემდეგ კუბელებს საფეხბურთო წარმოდგენასაც გავუმართავ“.

ოლგინიდან 750 კილომეტრში, ჰავანის „სოსე მარტის“ აეროპორტში კი ერთი საინტერესო ამბავიც მოხდა. მარადონასა და მის ამაღასთან ერთად მგზავრობდა მავანი არგენტინელი, რომელმაც ითმინა, ითმინა და ბოლოს დაიძახა: „ლუთის შეილად შობილი როგორ ბედავ ახალგაზრდობისთვის ასეთი მაგალითის ჩვენებას?“ ბუნებრივია, აქ ღვთის შვილი ინვალიდის გაგებით არ გახლდათ ნათქვამი, აქ დიეგოს დიდი ნიჭი და უფლის რჩეულობა იგულისხმებოდა. მაგრამ უფრო მეტად საინტერესო მარადონას პასუხი გახლდათ: „გულწრფელად მეცოდებით“.

გარდა ფიდელ კასტროსთან მეგობრობისა, დიეგოს კუბაზე ჩასვლას სხვა მიზეზიც ჰქონდა. კერძოდ, კასტროს მართლა კარგი სამკურნალო-სარეაბილიტაციო ცენტრი აქვს მოწყობილი, სადაც უცხოელთათვის საგანგებო პირობებია შექმნილი. გარდა ამისა, როგორც ამბობენ, მარადონას მკურნალობის თანხებს თავიდან ბოლომდე კუბის მთავრობა გაიღებს.



რადგან ზევით ფეხბურთელისა და კასტროს მეგობრობას შევეხეთ, ბარემ აქვე ვთქვათ, რომ ეს დიეგო მარადონას მესამე ვიზიტი გახლავთ კუბაზე. პირველი 1986 წელს იყო, როდესაც „კომანდანტეს“ პიროვნებით მონიბლულმა მოთამაშემ ოცნება აისრულა, რევოლუციის ბელადს ეწვია და არგენტინის ნაკრების მეთაურ ნომრიანი მისურა ცნობილ, მწვანე სამხედრო ქუდში გაუცვალა.

მარადონას მკურნალობა ჯგუფის თავმჯდომარე ექიმთა შორის ყველაზე გამოჩენილი, ელუარდო ბერნაბე ორდასი იქნება.

ბაბუნა კედიკა



კოკაინი ლათინურ ამერიკაში მოჰყავთ და ფხვნილად ამუშავებენ



რა არის კოკაინი?

დიეგო მარადონას ავადმყოფობამ საფეხბურთო მსოფლიოს ლექსიკონს აქტიურად დაუბრუნა სიტყვა კოკაინი. მარადონა ნარკომანია, ცენტრალური ნერვული სისტემის ამ სტიმულატორის თავს ვერაფრით აჩებებს და იგი მისი ცხოვრების დრამად თუ ტრაგედიად არის ქცეული. ამიტომაც გადავწყვიტეთ „სარბიელის“ მკითხველისთვის უფრო დაწვრილებით მოგვთხროთ იმ ფხვნილის შესახებ, რომელიც მსოფლიოში ფრიად გავრცელებული გახლავთ, საქართველოში კი, საბედნიეროდ, ფეხი ნაკლებად აქვს მოცილებული. მაშ ასე, კოკაინი ანუ მეთილ-ტროპან-3-1-2-კარბოქსილატი

ზოგადი დახასიათება

კოკაინი ცენტრალური ნერვული სისტემის სტიმულატორია, რომელიც ზრდის ადამიანის კონცენტრირებულობას, მადასა და ძილის სურვილს. ამასთან იგი სიამოვნების ინტენსიურ შეგრძნებას იწვევს. კოკაინის ამხადებენ იმ მცენარის ფოთლისგან, ერთი-ორქსილონ კოკა რომ ეწოდება და უპირატესად პერუსა და ბოლივიაში ხარობს.

წმინდა კოკაინი პირველად დაამზადა და ცალკე ნივთიერებად დააიზოქსირა გერმანელმა ქიმიკოსმა ალბერტ ნიმაინმა, რომელიც მე-19 საუკუნის შუაში მოღვაწეობდა. მისი მიზანი რეალურ თუ წარმოსახვით დაავადებათა მკურნალობა გახლდათ. მოგვიანებით კოკაინის გამოყენება ადგილობრივი ანესთეზიისთვის დაიწყო, თუმცა დღეს იგი ამ დანიშნულებით აღარ გამოიყენება — ლიდოკაინმა შეცვალა.

ვინაიდან კოკაინი ეფორიასა და ენერჯის მოზღვავეებს იწვევს, მე-19 საუკუნის ბოლოს მისი მიღება ბევრმა ადამიანმა დაიწყო, თუმცა ექიმებმა უმაღლესი შენიშვნა, რომ ისინი ცოტა ხანში წამალზე დამოკიდებულნი ხდებოდნენ. 1880 წელს ცნობილმა ფსიქიატრმა, ზიგმუნდ ფროიდმა გამოაქვეყნა სენსაციური სტატიები, სადაც წერდა, რომ კოკაინი დატრესისგან, ალკოჰოლიზმიდან და მორფინიზმიდან კურნავს. მართალია ამ თეორიას ბევრი მეცნიერი კავრცელებდა შეხვდა, კოკაინის გავრცელება შეუქცევად პროცესად იქცა.

პირველად კოკაინი 1911 წელს კანადის მთავრობამ აკრძალა და შესა-

ბამისად მისი არალეგალური პოპულარობაც გაიზარდა. 1920-30-იან წლებში ეს ნარკოტიკი უზომოდ ცნობილი შეიქნა, შემდეგ იგი შედარებით მივიწყდა, მაგრამ 60-იანი წლებიდან მოყოლებული, იგი ისევ პრობლემად იქცა.

სად და როგორ

როგორც წესი, მსოფლიოს ქალაქებში კოკაინს ქუჩებში პიდროლიტორიდის მარილის სახით დამზადებულს ყიდიან. თეთრი, კრისტალიზებული ფხვნილი ქუჩურ დონეზე ცნობილია კოკის, სის, თოვლის, ფიფქის შებერვის სახელწოდებით (სიტყვები ინგლისურადანაა თარგმნილი). გამყიდველები მას მსგავსი გარეგნობის ინერტულ ნივთიერებებში ურევს; მაგალითად ბავშვის ფხვნილში და შაქარში. შეიძლება სხვა ნარკოტიკთან იყოს შერეული, მაგალითად პროკაინთან ან ბენზოკაინთან, თუმცა საკუთრივ კოკაინის წმინდად დამზადების ხარისხი დღითიდღე იზრდება და დაახლოებით 80 პროცენტს აღწევს.

კოკაინს უპირატესად ნესტოებით ისრუტავენ, თუმცა შეიძლება მისი ლობილებზე და სხვა ადგილებში (სწორედ ნაწლავი, ვაგინა) წასმაც. მოქმედების დაჩქარებისა და გაძლიერების მიზნით მას ხანდახან ნემსით იკეთებენ.

კოკაინი სხვა ნივთიერებებს იოლად ითვისებს და ამდენად საშიშია. წმინდა კოკაინის უფრო ეწვეიან, კიდრე ისუნთქავენ. ბოლოდროს მოლაში შემოსული „კოკეი“ კი მინარევებისგან უხარისხოდ გაწმენდილი კოკაინი გახლავთ.

ბაბუნა კედიკა



დიეგო მარადონა ჰავანაში

REUTERS ჰავანადან

თოთხები გუნდის ზრახვანი

ეპროპის 14 სუპერკლუბს, რომელთა არაოფიციალურ გაერთიანებას პირობითად G14-ს უწოდებენ (რაც ინგლისური სიტყვიდან Great ანუ დიდი გახლავთ ნანარმოები) თანამედროვეობის ბევრი რამ, მოგეხსენებათ, არ მოსწონს და საამისოდ მაღლიმალ თათბირებსაც მართავენ. ეს G14 მილანური კორპორაციის „მედია პარტნერზის“ ირგვლივ გახლავთ გაერთიანებული, ხოლო „მედია პარტნერზის“ საბოლოო მიზანი კონტინენტზე საფეხბურთო სუპერლიგის დაარსებაა, მაგრამ მის ასრულებამდე ეგრეთწოდებული მიმდინარე საკითხებითაა დაკავებული.

18 იანვარს თოთხმეტეულის სხდომა მადრიდში გაიმართა, რომელზეც გამოჩნდა, რომ სიდნეის ოლიმპიადის მოახლოებასთან ერთად, ბობოლეებს საფეხბურთო გასაჩენიათ: რა უყონ თავიანთ ფეხბურთელებს, რომელთაც ეროვნული ოლიმპიური ნაკრებები ავსტრალიაში სათამაშოდ იძახებენ?


„არსენალს“ ასეთი იდეა აქვს: მოთამაშეებს, რო-

მლებიც ოლიმპიადის დღეებში გუნდს დასტოვებენ, ხელფასი არ გადაუხადონ. ეს, ბუნებრივია, თავის როლს ითამაშებს, ვინაიდან უმდიდრესი კლუბები უდიდეს ხელფასებს იხდიან, მათი მოკლება კი არავის მოეხსურება. შესაბამისად, არ არის გამორიცხული, რომ ფიფამ სანაკრებო შეკრებათა ვადები მეტად და მეტად შეამციროს.

მადრიდულმა თათბირმა დაადგინა, რომ ამ საკითხის შესწავლა „მილანს“ დაეკისრება.

თათბირზე განიხილეს სხვა საკითხებიც. კერძოდ, „მანჩესტერ იუნაიტედს“ G14-ის კონსტიტუციაზე მოუწევს ფიქრი, რამაც საბოლოოდ უფას თასისა და ჩემპიონთა ლიგის გადასხვაფერება უნდა გამოიწვიოს.

შოტლანდიელთა, სკანდინავიელთა და პოლანდიელთა იდეა ატლანტიკური პანეოროპული სუპერლიგის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით შობს უფას თასისთვის ლიგის ფორმატის მინიჭების პერსპექტივას. ამ საკითხზე „გლახგო რეინჯერსი“ და „პსე ეინდჰოვენი“ დაფიქრდებიან.



შეშვრი შეშვი

„ფერარის“ გუნდის თოვლში ლადობა დასრულდა. მისხველ შეშახერმა და მისმა თანაგუნდელებმა მონტმელოს ტრეკზე გადაინაცვლეს, სადაც მოტორთა ბლუილია ატენილი — „ფერარი“ მოახლოებული სეზონისთვის ემზადება. შეშვის რაღაც აქვებებს. ისე კი, იტალიელებს დიდ უშურ ვინმედ მიახნიათ „ფერარის“ ლიდერი — ამდენი ხანია, ჩვენს გუნდშია და იტალიურად სალა-მიც არ უსწავლიათ.

საფრანგეთი
გადაღებული მატჩები
სედიანი 0:1 ლე აპრი
0:1 ბენანოვიჩი (26)
სტრასბურში 2:0 ტრუზ
1:0 კამადინი (30), 2:0 ეშუაფნი (50)

ესპანეთი
თასის მერვედფინალი. I წრე
სარაგოსა — რეალი 0:1; რეალ უნიონი — ატლეტიკო 0:3; ესპანოლი — სელტა 2:1; ოსასუნა — დეპორტივო 1:1; მერიდა — ოვიედო 1:0; კომპოსტელა — ვილიარეალი 3:1; ლეიდა — რაიო ვალეკანო 2:3; ორენსე — ბარსელონა დღეს გაიმართება


გელგია
ლიგის თასის მეოთხედფინალი
ლოქარინი 1:3 მუსკარინი
განძი 0:1 ვესტარლო

თურქეთი
თასის მერვედფინალი
ისტანბული — ანკარა 1:2; ქოჯაელი — ტრამპორი 0:2; ვალაიასარი — სამსუნი 2:1; ბურსა — ვანი 3:0; დარდანელი — ფენდიქფორი 2:0; ნაზლი — ერზურუმი 0:0 (5:4); ბაქიჯი — ანთალია 0:2

ინგლისი
თასის IV ეტაპი
ჩელსი 2:0 ნოტიუნგემი
გადათამაშება
ლესტერი 0:0 (გენ. 6:5) არსენალი



REUTERS მეტლბურნიდან



მელბურნი

მელბურნი ავსტრალიის დიდი პირველობა ხურდება. თითქოს ყველაფერი ისეა, როგორც უნდა იყოს. ამერიკელ ლინდსი დევენპორტს ავტოგრაფის

მოყვარენი არ უშვებენ გასახდელში, რუსი ანა კურნიეოვა გაფაციცებით კლის თამაშის გაგრძელებას, მაგრამ აი, ის საბჭოთა დროშა რაღა შეუშია, არავინ იცის. საბჭოთა კავშირი ხომ აღარ არსებობს? თუშეცა, ქიმაგებს რას გაუგებ.



პერმინატორი ინყებს



სამთოროთხილაშურამთა მსოფლიოს თასის მორიგი ეტაპი ახლოვდება. ავსტრიის მთებში თოვლი იმდენია, რომ საექსპორტოდაც შეუძლიათ გაშეტება. განთქმული ჰერმან მაიერი, იგივე პერმინატორი, ჩვეულად ემზადება მორიგი ტიტულის მოსაპოვებლად და თავისუფალი ვარჯიშით გადი-გამოდის საგანგებო მოსახვევებში. ეს უცნაური ცხოველი კი, რომლის რქებიც პერმინატორს ჩაუბღუჯავს, მხოლოდ ქანდაკებაა და მხოლოდ ზღაპრებში არსებობს. ზღაპრებს თუ ვერწმუნებით, ავსტრიის მთებში სწორედ ამგვარი აქლემ-ირემი ბინადრობდა.

პრიზი პირველებს

შარშან მალაიზიაში პირველად ჩატარდა ფორმულა ერთის რბოლა. სეპანგის ტრასაზე გამართული დიდი პრიზის ორგანიზატორები კი ახლახან დაბრუნდნენ ქვეყნის დედაქალაქ კუალა ლუმპურში და თან ავტორბოლის საერთაშორისო ფედერაციის მიერ მიძღვნილი დიდი პრიზი ჩამოიტანეს. მალაიზიის დიდი პრიზის ორგანიზატორები მონაკოში დაუჯილდოვდნენ, როგორც წლის საუკეთესო რბოლის მომწყობნი. ცხადია, საამაყოა.



REUTERS კუალა ლუმპურნიდან



უსაფრთხოებისთვის

ბანთძეშული ბრაზილიელი მრბოლელი ემერსონ ფიტიპალდი (მარცხნივ) კარგა ხანია საზოგადოებრივ საქმიანობაშია ჩართული. მისი ავტორიტეტი ლათინურ ამერიკაში მეტად დიდია და ინტერ-ამერიკული ბანკის პრეზიდენტ ენრიკე იგლესიასსაც ამიტომ მიუხევევია თავისი ახალი პროგრამის პრეზენტაციაზე. ამ ბანკს გეგმად ჰქონია ლათინური ამერიკის ქვეყნებში ავტომანქანათა უსაფრთხოების პროგრამის განხორციელება. ემერსონ ფიტიპალდის კი ბანკირისთვის საჩუქრად მიურთმევეა იმ ბოლიდის მოდელი, რომლითაც ინდიანაპოლისის რბოლებში მონაწილეობდა.

სარბიელი
საორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის საგზაბათს, ოთხგზაბათს, ხუთგზაბათს, პარასკეპს და შაბათს

მთავარი რედაქტორი უშრავ ჯონსვერია
დირექტორი გიორგი ოქროშაძე
რედაქტორი მამაზ მირბიაული
მთავარი რედაქტორის მოადილეები ილია ბაბუნაშვილი
ავთიანდელ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი ვახტანგ ბეგიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულიანაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეაშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტა-

ლიანი, ხეიჩა სანიკიძე უცხოური განყოფილება გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაყიძე, ვანო ოქროშიძე; ინფორმაციის რედაქცია ზაზა ბენიძე, ირაკლი თავაძე, გაიონ თალაკვაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის განყოფილება გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოღენაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ელენე გულუტაშვილი, სვეტა ლევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კველამაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზაბაგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29 ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge ელექტრონული ვერსია http://www.opentext.org.ge/sarbieli

REUTERS კიტბიუმულიდან

REUTERS კიტბიუმულიდან